ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5004147

ნომერი: AR1756646

თარიღი : 29.06.2020

გაცემის თარიღი : 30.06.2020

გაცნობის თარიღი : 30.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგურ "ლილო"-ს მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვ.2/2);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ჩაფიძე პ/ნ 01017019181
- თბილისი ყაზბეგის ქ. N 19 ბ. 71

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.14.002.002 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ-). საცხოვრებელი ზონა (სზ) — მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში
არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს
ვინაიდან საცხოვრებელ ზონა (სზ) ასევე საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-და საცხოვრებელ ზონა -2 (სზ-2)-ის და საცხოვრებელ ზონა 3-(სზ-3)-ის დასაშვებ სახეობების ჩამონათვალში არ შედის თქვენს მიერ მოთხოვნილი ობიექტი, რომელიც ესკიზის შესაბამისად წარმოადგენს ავტოსამრეცხაოს ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.